



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული
ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია

სარჩევი

I. ზოგადი დებულებები	2
II. სამაგისტრო თემის შერჩევა და რეგისტრაცია.....	2
III. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება	3
IV. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა	3
V. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხელმძღვანელის მიერ.....	4
V ¹ . სამაგისტრო პროგრამის „საჯარო მმართველობა“ მოქმედი წესები.....	4
VI. ზეპირ დასკვნით გამოცდაზე დაშვება.....	5
VII. ზეპირი დასკვნითი გამოცდა.....	5
VIII. ზეპირი დასკვნითი გამოცდის შეფასება	6
IX. განმეორებითი ზეპირი დასკვნითი გამოცდა.....	6
X. სამაგისტრო გამოცდის საბოლოო შეფასება	6
XI. სამაგისტრო გამოცდის დადებითი შეფასების შედეგები	7
XII. სამაგისტრო გამოცდის უარყოფითი შეფასების შედეგები.....	8
XIII. სამაგისტრო გამოცდის ბათილობა.....	8

I. ზოგადი დებულებები

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები სრულდება სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვით.
2. მაგისტრატურის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი (პროექტი), რომლის შესრულება დასტურდება სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენითა და დაცვით (პრეზენტაციით, დისკუსიით).
3. სამაგისტრო ნაშრომის დარეგისტრირების უფლება წარმოეშობა მაგისტრატურის სტუდენტს, რომელსაც მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტებში დაგროვილი აქვს მინიმუმ 80 კრედიტი.
4. სამაგისტრო ნაშრომში აისახება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით ამ კომპონენტისთვის გათვალისწინებული სწავლის შედეგები. სამაგისტრო გამოცდაზე მაგისტრანტმა უნდა დაამტკიცოს, რომ შესწევს მის მიერ შერჩეული სამართლის სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოჩენის უნარი.
5. საგანმანათლებლო პროგრამით შესაძლოა დადგენილ იქნეს სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების დამატებითი/განსხვავებული მოთხოვნები.

II. სამაგისტრო თემის შერჩევა და რეგისტრაცია

1. სამაგისტრო თემას მაგისტრანტი ირჩევს ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
2. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელებაში ჩართული აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.
3. სამაგისტრო თემის რეგისტრაცია უნდა დასრულდეს შესაბამისი სემესტრის დაწყებიდან 7 დღის ვადაში, ხოლო დამატებითი ვადის საჭიროების შემთხვევაში კი - სემესტრის დაწყებიდან 10 დღის ვადაში.
4. სამაგისტრო თემის სათაურის რეგისტრაციის წინაპირობაა თემის სათაურისა და სავარაუდო სტრუქტურის წარდგენა ფაკულტეტის შესაბამის მიმართულებებზე - სამაგისტრო თემის აქტუალობის მისი დამუშავების მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულების, საკვლევი საკითხის ამოწურვადობისა და სამეცნიერო ნაშრომის მიმართ წაყენებული სხვა მოთხოვნებისადმი შესაბამისობის დასადგენად.
5. მიმართულების სხდომა დამსწრეთა ხმების უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას:
 - ა) წარმოდგენილი თემის სახელწოდების დარეგისტრირებასა და ნაშრომის შესრულებაზე თანხმობის ან უარის შესახებ.
 - ბ) სხდომაზე გამოვლენილი შენიშვნების გათვალისწინების მიზნით, მაგისტრანტისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ.

6. თუ დამატებით ვადაში მაგისტრანტი ვერ უზრუნველყოფს თემის სათანადო სახელწოდებისა და სტრუქტურის წარმოდგენას, მიმართულება იღებს გადაწყვეტილებას თემის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, რის საფუძველზეც სტუდენტი კარგავს აღნიშნულ სემესტრში თემის დამუშავების უფლებას.

7. სამაგისტრო თემა, რომლებიც დასაშვებად ცნო მიმართულებამ, ექვემდებარება სათანადო წესით რეგისტრაციას.

III. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება

1. მაგისტრანტს თემის დამუშავებისათვის განესაზღვრება ოთხთვიანი ვადა, რომელიც აითვლება სემესტრის დასაწყისიდან.
2. სამაგისტრო ნაშრომის მიმართ მოქმედი სამეცნიერო კვლევის შინაარსობრივი და ტექნიკური მოთხოვნები განისაზღვრება ფაკულტეტზე დადგენილი აკადემიური წერის სტანდარტებით.
3. სამაგისტრო ნაშრომი უნდა იქნეს შესრულებული ქართულ ენაზე. წერილობითი განცხადებით სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებში, იურიდიული ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, მაგისტრანტს ნება დართოს წარმოადგინოს იგი სხვა ევროპულ ენაზე.
4. შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს ავტორის წერილობითი დადასტურება (ნაშრომის ორიგინალობის შესახებ), რომ ნაშრომი შესრულებულია მის მიერ და არ გამოუყენებია მითითებულის გარდა სხვა ლიტერატურა. წერილობითი დადასტურება ასევე უნდა შეიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის სათაურის ინგლისურენოვან თარგმანს.

IV. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა

1. სამაგისტრო ნაშრომი დამუშავებისათვის განსაზღვრულ ვადაში წარედგინება იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციას.
2. სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (აკინძული) და ელექტრონული (CD-ს) სახით.
3. ნაშრომს თან უნდა ახლდეს ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა საჯარო დაცვაზე დაშვების თაობაზე.
4. სამაგისტრო ნაშრომის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე.

V. ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების თაობაზე

1. ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების თაობაზე უნდა დაფუძნებული იყოს სამაგისტრო ნაშრომის წერითი შეფასების ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა:

- საკვლევ თემაში დასმული კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტის ახლებური ხედვა.
- სამაგისტრო ნაშრომის სათანადო სტრუქტურისა და სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დასახული კვლევითი ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტის საშუალებას იძლევა;
- სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი ამოცანის/ამოცანების გადაწყვეტის სისრულე;
- საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროების, სამეცნიერო და ციტირებული ლიტერატურის, ფაქტობრივი მონაცემების დამუშავების სისრულე და კრიტიკული ანალიზი;
- სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების (მათ შორის მითითების/ციტირების) სათანადო წესის/წესების დაცვა.

VI. სამაგისტრო პროგრამის „საჯარო მმართველობა“ მოქმედი წესები

1. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე სამაგისტრო თემის რეგისტრაცია ხდება მეოთხე სასწავლო სემესტრის ბოლოს. ხოლო, სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენისთვის განსაზღვრულია მეხუთე სასწავლო სემესტრის ბოლო.
2. სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი დაცვა სავალდებულო კომპონენტს არ წარმოადგენს.
3. ნაშრომის შეფასება:
 - ა. ნაშრომი შესაფასებლად გადაეცემა უცხოელ და ქართველ შემფასებელს.
 - ბ. ნაშრომის შეფასება ხდება ას ქულიანი სისტემით, მინიმალური დადებითი ქულა არის 51.
 - გ. საბოლოო შეფასება მიიღება ორივე შემფასებლის მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულით. იმ შემთხვევაში, თუ აღინშნულ ორ შეფასებას შორის სხვაობა არის 20 ქულაზე მეტი, ნაშრომი შესაფასებლად გადაეცემა მესამე შემფასებელს. მესამე შემფასებლის მიერ დაწერილი ქულა არის საბოლოო და აღარ გამოითვლება საშუალო არითმეტიკული უკვე დაწერილი ქულებიდან.
4. უარყოფითი შეფასება:
 - ა. სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტი დამატებით სემესტრში გადის სემესტრულ ადმინისტრაციულ რეგისტრაციას და ეძლევა ახალ სამაგისტრო თემაზე შესრულებული ნაშრომის წარმოდგენის უფლება.
 - ბ. თუ უარყოფითი შეფასება განპირობებული იყო პლაგიატის შემთხვევით, მაგისტრანტს ნაშრომი უნუღდება და ახალი სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენის მხოლოდ ერთი შესაძლებლობა ეძლევა.

VI. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობები

1. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაიშვება მაგისტრანტი, რომელმაც:

- ა) გაიარა სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია და სრულად დაფარა სწავლის

საფასური;

- ბ) დროულად წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომი, რომელსაც ახლავს ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა საჯარო დაცვაზე დაშვების თაობაზე.
- გ) სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დააგროვილი აქვს 90 კრედიტი.
2. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობების არსებობისას, იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს გამოცდის ჩატარების ორგანიზებას.

VII. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვებული სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების წინაშე.
2. სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება მიმართულების სამი წევრი მაინც.
3. შემფასებლები დამოუკიდებელნი არიან თავიანთ საქმიანობაში.
4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საჯაროდ, რომლის მსვლელობისას მაგისტრანტი წარმოაჩენს ნაშრომში განხორციელებული კვლევის შედეგებს.
5. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა ტარდება თითოეული მაგისტრანტისათვის ინდივიდუალურად.
6. გამოცდის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს.

VIII. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც მაგისტრანტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
2. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.
3. შედეგის მიღწევის შეფასების მეთოდებია: წერითი შეფასება, პრეზენტაცია, დისკუსია. წერითი მეთოდით სამაგისტრო ნაშრომს აფასებს ხელმძღვანელი, რომლის შუამდგომლობაში აღნიშნული უნდა იყოს შესაძლებელია თუ არა მოცემული სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციაზე დაშვება. პრეზენტაცია ხდება შესაბამისი კომისიის წინაშე, რასაც მოჰყვება დისკუსია.
4. სამაგისტრო ნაშრომის წერითი შეფასების კრიტერიუმებია:
 - საკვლევ თემაში დასმული კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტის ახლებური ხედვა.
 - სამაგისტრო ნაშრომის სათანადო სტრუქტურისა და სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დასახული კვლევითი ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტის საშუალებას იძლევა
 - სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი ამოცანის/ამოცანების გადაწყვეტის სისრულე
 - საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროების, სამეცნიერო და ციტირებული ლიტერატურის, ფაქტობრივი მონაცემების დამუშავების სისრულე და კრიტიკული ანალიზი
 - სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების (მათ შორის მითითების/ციტირების) სათანადო წესის/წესების დაცვა
5. სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებია:

- სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა და სიახლე
- სამაგისტრო ნაშრომის სისტემური კვლევა და კავშირი კვლევის მიზნებთან და შედეგებთან
- კვლევის პროცესში ადეკვატური მეცნიერული მეთოდების შერჩევა და გამოყენება
- წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე და ფაქტობრივ მონაცემებზე დაფუძნებული დასკვნები/კვლევის შედეგები
- სამაგისტრო ნაშრომში დასმული ძირითადი პრობლემის/პრობლემების წარმოჩენა
- პრეზენტაციის სტრუქტურა (ვიზუალური და შინაარსობრივი მხარე)

6. დისკუსიის შეფასების კრიტერიუმებია:

- პრეზენტაციის პროცესში დასმულ კითხვებზე ადეკვატური და დასაბუთებული პასუხების გაცემა

IX. სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება

1. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

2. სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტი დამატებით სემესტრში გადის სემესტრულ ადმინისტრაციულ რეგისტრაციას და ეძლევა ახალ სამაგისტრო თემაზე შესრულებული ნაშრომის წარმოდგენის უფლება.

3. სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების საფუძვლებია ასევე:

ა) საჯარო დაცვაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;

ბ) საჯარო დაცვაზე გამოცხადების შემდგომ უარის თქმა მის დაცვაზე;

გ) აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის (პლაგიატი) გამოვლენა;

დ) საჯარო დაცვის ჩაშლის მცდელობა ან მისი ჩატარების განაწესის დარღვევა;

ე) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქიკური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით ან სხვა დაუშვებელი ხერხებით.

X. სამაგისტრო ნაშრომის დადებითი შეფასების შედეგები

1. სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რომელსაც დადგენილი წესის თანახმად, ანიჭებს უნივერსიტეტი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე. დიპლომს ხელს აწერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და ფაკულტეტის დეკანი. დიპლომს დაესმის უნივერსიტეტის ბეჭედი.
2. თუ ხორციელდება მაგისტრის ხარისხის ერთობლივად მინიჭება უნივერსიტეტთაშორისი შეთანხმების საფუძველზე, ამ შეთანხმების დებულებებს აქვთ უპირატესი ძალა.

XIII. სამაგისტრო გამოცდის ბათილობა

სამაგისტრო გამოცდის მსვლელობისას მაგისტრანტის მიერ IX ნაწილის მე-3 პუნქტის “გ” და “ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევები, რომელიც სამაგისტრო დიპლომის გაცემის შემდეგ გახდა ცნობილი, ქმნის სამაგისტრო გამოცდის მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად გამოცხადების, სამაგისტრო დიპლომის ჩამორთმევისა და მინიჭებული ხარისხის გაუქმების საფუძველს.